

UDC 336.711.65

SCOPUS CODE 1401

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-2-42-49>

## თანამედროვე მიდგომები საბანკო რეგულირებისადმი ციფრული ტექნოლოგიების განვითარების პირობებში

- გოგა გელიტაშვილი** ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77  
E-mail: g.gelitashvili@gtu.ge
- გოჩა აბუთიძე** საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77  
E-mail: g.abutidze@gtu.ge
- მედეა ჭელიძე** საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77  
E-mail: m.chelidze@gtu.ge

### რეცენზენტები:

**გ. ცაავა**, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: g.tsaava@gtu.ge

**ნ. თევდორაშვილი**, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: n.tevdorashvili@seu.edu.ge

**ანოტაცია.** ციფრული ტექნოლოგიების განვითარება დიდ გავლენას ახდენს საბანკო მომსახურების მიწოდების ტრადიციულ არხებზე. ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურების, ტექნოლოგიური ცვლილებების დანერგვის სიჩქარე მარეგულირებლებისგან დიდ მოქნილობას მოითხოვს. იმავდროულად, სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობა ციფრული ტექნოლოგიების განვითარებაში წარმატებული გაციფრულების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.

თანამედროვე პირობებში, საბანკო სექტორში ინოვაციების განვითარების უზრუნველსაყოფად, სხვადასხვა ქვეყანაში იქმნება ინოვაციური ფინანსური ტექნოლოგიების, პროდუქტებისა და მომსახურების რეგულირების ახალი მექანიზმები და ინსტრუმენტები.

სტატიაში დაზუსტებულია, რომ ციფრული ფინანსური სივრცის ეფექტიანი, უსაფრთხო ფუნქციონირება და განვითარება მოითხოვს კოორდინირებულ ქმედებებს მისი ყველა მონაწილის მხრიდან, ასევე ინოვაციებით გამოწვეული პოტენციური რის-

კების შეფასებისა და მონიტორინგისთვის მოთხოვნების დაწესებას, მარეგულირებელი მოთხოვნების დროულ გაუმჯობესებას და დახვეწას, რაც საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, შენარჩუნდეს ფინანსური სისტემის სტაბილურობა და დაცული იქნეს მომხმარებლის უფლებები და, მეორე მხრივ, ხელი შეეწყოს ინოვაციური ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურების განვითარებასა და დანერგვას.

**საკვანძო სიტყვები:** რისკი; საბანკო რეგულირება; საბანკო სექტორი; ფინანსური სტაბილურობა; ციფრული ტექნოლოგიები.

## შესავალი

საბანკო სექტორში ახალი მონაწილეები ძირითადად ხდებიან ფინტექ კომპანიები – სტარტაპები ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდების სფეროში, რომლებიც სულ უფრო მზარდ კონკურენციას უწევენ ტრადიციულ საბანკო ინსტიტუტებს [1].

ფინანსური ტექნოლოგიებისა და ტრადიციული საბანკო ორგანიზაციების ინტეგრაცია სამართლებრივი რეგულირების სფეროში ხშირად იწვევს გარკვეულ კონფლიქტებს. ეს ხდება მრავალი მიზეზის გამო: პირველ რიგში, ფინტექი მიმართულია დეცენტრალიზაციაზე, რაც დაკავშირებულია სემენტაციის რისკებთან; მეორე, ფინტექ პროდუქტები წარმოადგენენ კომპლექსურ სერვისებს, რომლებსაც აქვთ ფინანსური მახასიათებლები და დაფუნდებულია ციფრულ ტექნოლოგიებზე; მესამე, ფინტექი იყენებს ისეთ ტექნოლოგიებს, როგორცაა ხელოვნური ინტელექტი, მანქანური სწავლება, ღრუბლო-

ვანი გამოთვლები – ყველა მათგანს შეუძლია მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანოს როგორც თავად ბანკს, ისე მომხმარებელს, მაგრამ ამავე დროს, დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკებთან.

## ძირითადი ნაწილი

პოტენციური პრობლემები, რომლებიც შესაძლოა საბანკო სექტორის მარეგულირებლებს შეექმნათ ამ მიმართულებით, არაერთმა უცხოელმა ექსპერტმა შეისწავლა. ესპანელი ეკონომისტის, ჰ.მ. გონსალეს-პარამოს აზრით, მარეგულირებლები, რომლებიც ციფრული ტექნოლოგიების განვითარების პირობებში საბანკო სექტორის რეგულირების ახალი მიდგომების შემუშავებას განიზრახავენ, სავარაუდოდ შემდეგი გამოწვევების წინაშე დადგებიან [2]:

1) ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის კუთხით, საოპერაციო რისკები IT სფეროში და კიბერუსაფრთხოების რისკები მარეგულირებელთა ძირითადი სუსტი ადგილია. კიბერუსაფრთხეებმა შეიძლება გამოიწვიოს უზარმაზარი ეკონომიკური ზიანი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თავად ტექნოლოგიები არ არის საკმარისად უსაფრთხო.

2) მომხმარებლის უსაფრთხოების თვალსაზრისით უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება ასევე ქმნის ახალ რისკებს. კლიენტების პერსონალურ მონაცემებზე წვდომის გაფართოება ზრდის დამატებითი დაცვის უზრუნველყოფისათვის ნორმატიული აქტების შემუშავების აუცილებლობას. გარდა ამისა, რისკები წარმოიქმნება ავტომატიზებული ოპერაციების მზარდი გამოყენების გამო, თუმცა ისინი აგრეთვე უზრუნველყოფენ კლიენტთან ურთიერთობაში მეტ კონტროლსა და მონიტორინგს.

ამრიგად, მიზანშეწონილია საბანკო მარეგულირებლებმა მიიღონ უსაფრთხოების უფრო მკაცრი ზომები, მათ შორის პერსონალური მონაცემების საერთაშორისო დონეზე გადაცემისას.

3) საბანკო მარეგულირებლებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ ციფრული ტექნოლოგიები ბანკებს საშუალებას აძლევს საგრძნობლად გაზარდონ ეფექტიანობა: მაგალითად, ხარჯების შემცირებით მასშტაბის ხარჯზე, ბაზარზე შესვლის გამარტივებით, ტრანზაქციების მაღალი სიჩქარის უზრუნველყოფით, კლიენტებთან ურთიერთობის მოქნილობით და ა.შ.

4) მარეგულირებლებმა უნდა უზრუნველყონ საბანკო სისტემის მთლიანობა არსებული მარეგულირებელი მოთხოვნების ფარგლებში ბაზრის მონაწილეთა ქცევის შენარჩუნების პირობებში. მაგალითად, რეალურ დროში გადახდების განხორციელების მაღალმა სიჩქარემ, სახსრების გაზრდილმა ხელმისაწვდომობამ და ანონიმურობამ შეიძლება გააიოლოს უკანონო ფინანსური ოპერაციების განხორციელება. ამრიგად, მარეგულირებლებისთვის ჩნდება დამატებითი გამოწვევები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.

საბანკო სექტორში ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას სრულად ვერ აღმოფხვრის რეგულირების ტრადიციული მიდგომა, რაც ძირითადად ორიენტირებულია კაპიტალის ან/და ლიკვიდობისადმი მოთხოვნების დადგენაზე. მნიშვნელოვანია მარეგულირებლების მიერ ოპტიმალური, დამაბალანსებელი რეგულირების მეთოდების შემუშავება, რომელიც

ხელს არ შეუშლის ტექნოლოგიურ განვითარებას და საბანკო სექტორის ტრანსფორმაციას.

უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევართა დიდი ნაწილის აზრით, საბანკო სექტორში ციფრული ტექნოლოგიების განვითარება ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა და არ წარმოადგენს მნიშვნელოვან საფრთხეს მომხმარებლებისთვის [2], თუმცა, საბანკო ციფრული ინფრასტრუქტურისა და ბიზნესმოდელების განვითარების სწრაფმა ტემპმა შეიძლება ძალიან მოკლე დროში შექმნას გარემო ტრანსფორმაციისათვის, რაც მოითხოვს მარეგულირებელი ორგანოებისგან დროული მარეგულირებელი მხარდაჭერის შემუშავებას და განვითარებას.

ციფრული ტექნოლოგიების განვითარების პირობებში მარეგულირებლის წინაშე არსებული ყველა გამოწვევიდან შესაძლებელია გამოვლინდეს სამი ძირითადი პრიორიტეტი, რომელზეც საბანკო რეგულირება უნდა იყოს ფოკუსირებული: სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფა, ინოვაციების ხელშეწყობა და კიბერუსაფრთხოების სტანდარტების შემუშავება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ციფრული გარემო ხელს უწყობს და ახალისებს საბანკო სექტორში ახალი მოთამაშის გამოჩენას, რაც კარგად ჩანს საქართველოს საბანკო სექტორის მაგალითზე (ბოლო 2 წელიწადში – 3 ციფრული ბანკი). შესაბამისად, განსაკუთრებით აქტუალური ხდება სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფა სექტორის ყველა მონაწილეს შორის [3].

სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფის საკითხები შესაძლებელია სხვადასხვა კუთხით იქნეს განხილული. არაერთი მკვლევრისთვის ეს ნიშნავს

საბანკო ბაზარზე შესვლის მარეგულირებელი ბარიერების შემცირებას, იმ დროს, როდესაც სხვა ავტორები აღნიშნავენ, რომ ახალი მოთამაშე უნდა დაექვემდებაროს იმავე მოთხოვნებს, რასაც მოქმედი ბანკები [4, 5].

ეს საკითხი პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენს საბანკო მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა რისკის და რეგულირებისა და ზედამხედველობის ხარისხის გათვალისწინებით.

სამართლიანი კონკურენციისა და რისკების მართვის უზრუნველყოფა უნდა გულისხმობდეს, რომ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია ერთი და იმავე მოწყვლადობასთან, უნდა ჰქონდეს ერთნაირი მარეგულირებელი რეჟიმი, ხოლო რეგულირებამ უნდა წახალისოს ინოვაციების განვითარება სამართლიანი კონკურენციის შემაფერხებელი ბარიერების მოხსნით.

საბანკო მარეგულირებელი ჩარხო ციფრული ტექნოლოგიების განვითარების პრობებში შესაძლებელია განვითარდეს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: პრუდენციული რეგულირების ზემოქმედების შეზღუდვა არაპროფილური საქმიანობებისათვის, სადაც ბანკები კონკურენციაში არიან ბაზრის ახალ მოთამაშებთან. სექტორის ახალი სუბიექტების მართვა უნდა რეგულირდებოდეს იმავე ნორმატიული აქტებით, რომელიც გამოიყენება ტრადიციული ბანკების მიმართ. იმავედროულად, მარეგულირებელს შეუძლია დაუშვას გამონაკლისები გარკვეული მარეგულირებელი მიდგომების გამოყენებასთან; არსებული მარეგულირებელი ხარვეზების აღმოფხვრა საბანკო სექტორის ახალი მონაწილეებისათვის მარეგულირებელი ჩარხის შემუშავების გზით, რომლებიც გაწევენ ისეთ მომსახურებას, როგორცაა, მაგალითად,

ვირტუალური აქტივების მართვა, ალტერნატიული დაფინანსება და სხვა. ასეთი მოთხოვნები შეიძლება დაუწესდეთ ახალ მოთამაშებს, რომლებიც დაკავებული არიან მომსახურების ვიწრო სპექტრის მიწოდებით.

არაერთი მკვლევრის აზრით, ყველაზე დიდ პროგრესს საბანკო რეგულირების მიდგომების ადაპტაციაში ციფრული ტექნოლოგიების განვითარების პრობებში მიაღწიეს ავსტრალიამ, დიდმა ბრიტანეთმა, კანადამ, ჰონგ კონგმა, სინგაპურმა, აშშ-მ და ჩინეთმა. მიზანშეწონილია იმ ძირითადი მიდგომების სისტემატიზაცია, რომელსაც ისინი იყენებენ საბანკო რეგულირების ტრანსფორმაციისათვის [6]:

1) პრუდენციული რეგულირების ფარგლების კორექტირება. ფინანსური ტექნოლოგიების აქტიური განვითარება იწვევს ფინანსურ ბაზარზე ახალი მონაწილეების გაჩენას, რომლებიც ახორციელებენ ცალკეული ტიპის საბანკო ოპერაციებს, მაგრამ სხვა ნიშნით არ წარმოადგენენ ბანკებს. ასეთი სუბიექტი არ ექვემდებარება ტრადიციულ პრუდენციულ რეჟიმებს, მაგრამ მისი საქმიანობა ხშირად შეიცავს მსგავს რისკებს. ქვეყნები იყენებენ სხვადასხვა მიდგომას ამ პრობლემის გადასაჭრელად, მაგალითად, ფოკუსის გადატანას ინსტიტუტების რეგულირებიდან გარკვეული ტიპის საქმიანობის რეგულირებაზე და მარეგულირებელისთვის საკმარისი უფლებამოსილების მინიჭებას იმ სუბიექტების რეგულირების მიზნით, რომლებიც მარეგულირებელი პერიმეტრის გარეთ საქმიანობენ. გარდა ამისა, არსებობს პრუდენციული რეგულირების ფარგლების კორექტირების გამოცდილება სხვადასხვა საქმიანობის რეგულირების გავლენაში მოქ-

ცევის გზით, რომლებიც ადრე არ ითვლებოდა რეგულირების საჭიროების მქონედ.

2) საბანკო რეგულირებისადმი ისეთმა მიდგომამ, როგორცაა მარეგულირებელი სენდბოქსი, შეიძლება უზრუნველყოს პრობლემების გადაწყვეტა, როცა სამართლებრივი ნორმები აბრკოლებს ინოვაციების შემუშავებასა და დანერგვას. ეს მარეგულირებელი რეჟიმი გამოიყენება როგორც არსებული ბანკების, ისე სხვა სუბიექტების მიმართ.

სენდბოქსის საშუალებით ბანკს შეუძლია შეიმუშაოს და გამოსცადოს თავისი პროდუქტები და მომსახურებები რეალურ პირობებში და იურთიერთოს მარეგულირებლებთან, რათა უკეთ შეასრულოს და მოერგოს არსებულ მარეგულირებელ მოთხოვნებს. ფაქტობრივად, ეს არის ექსპერიმენტული სივრცე, რომელიც გულისხმობს მკაცრ კონტროლს მარეგულირებელი ორგანოს მხრიდან და, იმავდროულად, მომხმარებლის დაცვის უზრუნველყოფას.

3) ინოვაციური ჰაბები და ინკუბატორები იქმნება ინოვაციური საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების შემუშავების და დანერგვის ხელშესაწყობად. საბანკო რეგულირების ამ მეთოდის არსი არის სექტორის სპეციალისტების, მარეგულირებლის წარმომადგენლებისა და სხვა მონაწილეების ჩართვა ერთობლივ ექსპერტიზაში. კერძოდ, მათ შეუძლიათ: საკანონმდებლო ბაზის თაობაზე რჩევების მიწოდება და მარეგულირებელი ორგანოების დახმარება ახალი საბანკო პროდუქტების შესახებ მეტი ინფორმაციის მოპოვებაში; ბანკებისთვის დახმარების გაწევა დაფინანსების მოპოვებაში; წვდომის უზრუნველყოფა კონკრეტულ მონაცემებზე, ტექნოლოგიებზე ან პროგრამულ უზრუნველყოფაზე,

რომლებზეც შესაძლოა, ბანკებს არ ჰქონდეთ წვდომა.

4) შეთანხმებები თანამშრომლობის შესახებ – მთავრობასა და მარეგულირებელს შორის, რათა ერთად იმუშაონ მარეგულირებელ საკითხებზე ურთიერთგაგების გასაუმჯობესებლად, ბაზარზე ცვლილებებისა და ტენდენციების გამოსავლენად, ინოვაციების ხელშესაწყობად და უცხოეთის ბაზრებზე შესვლისას ბანკებისთვის რჩევების მისაცემად.

5) მარეგულირებელი ორგანოს შიგა რეორგანიზაცია. ტრადიციული საბანკო ბიზნესმოდელის, მათი სტრუქტურისა და ოპერაციების სპექტრის ცვლილებები მარეგულირებლებისგან მოითხოვს რესურსების გადანაწილებას საბანკო სისტემის ეფექტიანი რეგულირების უზრუნველყოფად. კერძოდ, არაერთმა საბანკო მარეგულირებელმა (სინგაპურში, ჰონგ კონგში, კანადაში) შექმნა ცალკე ქვედანაყოფები ფინანსური ტექნოლოგიების განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევების საპასუხოდ. ამ ქვედანაყოფების უფლებამოსილებები მეტად მრავალფეროვანია და მოიცავს ისეთ ფუნქციებს, როგორცაა საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, ანალიტიკური კვლევების ჩატარება, ლიცენზირების საკითხები, ბანკებთან ურთიერთქმედება, სახედამხედველო ტექნოლოგიების გამოყენება და სხვა.

6) ბანკებისათვის გარე მომსახურების მიმწოდებლების რეგულირება. იმ დროს, როცა ზოგიერთი ფინტექ კომპანია ფინანსურ მომსახურებას სთავაზობს უშუალოდ თავის მომხმარებლებს, რომელთა დიდი ნაწილი თანამშრომლობს ბანკებთან ან არის ბანკებისათვის გარე მომსახურების მიმ-

წოდებული. ფინტექ კომპანიის, როგორც ბანკისთვის გარე მომსახურების მიმწოდებლის, გამოყენებას შეუძლია ბანკს გაუადვილოს ან მისცეს წვდომა მრავალ პროდუქტსა და ტექნიკურ გამოცდილებაზე. მიუხედავად იმისა, რომ გარე მომსახურების მიმწოდებლის გამოყენებას სარგებლის მოტანა შეუძლია ბანკისთვის და უზრუნველყოფს მისი მომხმარებლის ინოვაციური პროდუქტების უფრო ფართო სპექტრზე წვდომას, საოპერაციო, უსაფრთხოების, რეპუტაციის რისკი და სხვა მნიშვნელოვანი რისკები რჩება ბანკის პასუხისმგებლობაში. ამიტომ, როგორც წესი, მარეგულირებლები შეიმუშავენ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც მიზნად ისახავს უზრუნველყოს ბანკების მიერ კონტრაგენტების სათანადო შემოწმება, აგრეთვე რისკების მართვა მომსახურებების გარე მიმწოდებლების გამოყენების პროცესში.

7) ლიცენზირების პროპორციული რეჟიმების შემოღება. ინოვაციური საბანკო ბიზნესმოდელების ლიცენზირების რეჟიმებს ახასიათებს რამდენიმე განსხვავება. ხშირ შემთხვევაში, ახალმა ბანკმა, რომელიც თავდაპირველად საქმიანობდა ფინტექ კომპანიის სახით, მიიღოს სრულფასოვანი საბანკო ლიცენზია, რაც მას საშუალებას აძლევს განახორციელოს საბანკო მომსახურების სრული სპექტრი. იმავე დროულად, ახალი მოთამაშეების უმეტესობა მოი-

პოვებდა ლიცენზიებს ცალკეული სახის ოპერაციების განსახორციელებლად. ამრიგად, ისინი თავს არიდებდნენ ტრადიციული ბანკისადმი დაწესებული პრუდენციული მოთხოვნების უმეტეს ნაწილს და ჰქონდათ ნაკლებად მკაცრი მოთხოვნები ბაზარზე შესასვლელად.

### დასკვნა

ბაზელის კომიტეტის კვლევაზე დაყრდნობით, მარეგულირებლებს ეძლევათ რეკომენდაცია გაანალიზონ ფინტექ კომპანიებისა და ბანკების ბიზნესმოდელები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს ხარვეზები დამკვიდრებულ პრაქტიკასა და მარეგულირებელ ჩარჩოებში. მათ ყურადღებით უნდა ადევნონ თვალი ცვლილებებს და, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვონ ბანკებისგან თავიანთი საქმიანობის ადაპტაცია არსებულ მარეგულირებელ ჩარჩოსთან.

მარეგულირებლებს ასევე ეძლევათ რეკომენდაცია, პირველი, დააწესონ მოთხოვნები საბანკო სფეროში ინოვაციებით გამოწვეული პოტენციური რისკების შეფასებისა და მონიტორინგისთვის, როდესაც ეს ტექნოლოგიები შეიძლება საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს ფინანსური სტაბილურობისთვის, და მეორე, განსაზღვრონ რეაგირების შესაბამისი ზომები.

### ლიტერატურა

1. Chelidze, M., & Topchishvili, M. (2018). The Role of Financial Technologies in the Development of the Banking Sector. *Globalization and Business*, 5, 246-249. (In Georgian);
2. González-Paramo, J. (2018). Opportunities and challenges for banking regulation and supervision in the digital age. *SUERF Policy Notes & Briefs*, 31, 1-6.;
3. Abutidze, G., & Gelitashvili, G. (2023). *Functioning of the banking system in an unstable economic environment*. Tbilisi: Publishing house „Technical University“. (In Georgian).
4. Rafay, A. (2019). *FinTech as a Disruptive Technology for Financial Institutions*. USA: IGI Publishing.;
5. Teigland, R., Siri, S., Larsson, A., Moreno Puertas, A., & Bogusz, C. (2018). *The Rise and Development of FinTech. Accounts of Disruption from Sweden and Beyond*. London: Routledge.;
6. Broeders, D., & Prenio, J. (2018). *FSI Insights on policy implementation N9. Innovative technology in financial supervision (suptech) - the experience of early users*. Basel: Bank for International Settlements.;
7. Basel Committee on Banking Supervision. (2018). *Sound Practices - Implications of fintech developments for banks and bank supervisors*. Bank for International Settlements. Retrieved from: <https://www.bis.org/bcbs/publ/d431.pdf>
8. Gelitashvili, G., Burdiashvili, R., & Chelidze, M. (2023). Discussion Issues on the Essence of Banking Regulation and Supervision. *Economics*, 105(3-4), 122-133. (In Georgian).

UDC 336.711.65

SCOPUS CODE 1401

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-2-42-49>

## Modern Approaches to Banking Regulation in the Conditions of Digital Technologies

- Goga Gelitashvili** Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.  
E-mail: g.gelitashvili@gtu.ge
- Gocha Abutidze** Department of Financial and Banking Technologies, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.  
E-mail: g.abutidze@gtu.ge
- Medea Chelidze** Department of Financial and Banking Technologies, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.  
E-mail: m.chelidze@gtu.ge

### Reviewers:

**G. Tsaava**, Professor, Faculty of Business Technologies, GTU

E-mail: g.tsaava@gtu.ge

**N. Tevdorashvili**, Associate Professor, Faculty of Business and Technology, Georgian National University (SEU)

E-mail: n.tevdorashvili@seu.edu.ge

**Abstract.** The development of digital technologies has a great impact on traditional channels for providing banking services. The speed of introduction of innovative products and services, technological changes require great flexibility from banking regulators. Also, the active participation of the government in the development of digital technologies is one of the main factors of successful digitalization.

In modern conditions, in order to ensure the development of innovation in the banking sector, new mechanisms and instruments for regulating innovative financial technologies, products and services are being created.

The article specifies that the effective, safe operation and development of the digital financial space requires coordinated actions from all its participants, as well as the establishment of requirements for the assessment and monitoring of potential risks caused by innovations, timely improvement and refinement of regulatory requirements. This allows to maintain the stability of the financial system and protect the rights of consumers, and to promote the development and introduction of innovative financial products and services.

**Keywords:** banking regulation; banking sector; digital technologies; financial stability; risk.

---

*განხილვის თარიღი 12.02..2024*

*შემოსვლის თარიღი 19.02.2024*

*ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.06.2024*